საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-670

30/07/2020

ქ. თბილისი

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მოწყობა-ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ასევე მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელი) მოწყობა-ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 67 (23.07.2020);
2. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 67 (23.07.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ლევან დავითაშვილი

მინისტრი